შპს „პონტიკა“-ს A - ტიპის ინსპექტირების ორგანო
ს/ნ 402073448
მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ქ. №183/185
ტელ.: +995599109840
Email: llc.pontica@gmail.com

ქ. თბილისი, მაღალტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლის ცენტრის სამშენებლო მოედნის ს/კ 01.81.08.254.019 საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ PG 8177/05.10.2026

(№ PG 7848/14.08.2026-კორექტირება)

*მომსახურეობის სფერო: პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.*

*ინსპექტირების დაწყების თარიღი: 07.08.2026*

*ინსპექტირების დასრულების თარიღი: 14.08.2026*

*კორექტირების თარიღი: 02.10.2026 – 05.10.2026*

*დამკვეთი: შპს „გეოტექსერვისი“ ს/კ 200087707*

*საფუძველი: ჩარჩო ხელშეკრულება №318/09-25; განაცხადი*

**კორექტირების მიზეზი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება № 8097284.

**შემსრულებელი ინსპექტორი და შემსრულებლის კვალიფიკაცია:**

გურამ იაშვილი უმაღლესი განათლებით ინჟინერ-გეოლოგი. ჰიდროლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობს 34 წლის სტაჟით.

**ინსპექტორის წინაშე დასმული ამოცანა:**

ქ. თბილისი, მაღალტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლის ცენტრის სამშენებლო მოედნის ს/კ 01.81.08.254.019 საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.

**წარმოდგენილი მასალები:**

ქ. თბილისი, მაღალტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლის ცენტრის სამშენებლო მოედნის ს/კ 01.81.08.254.019 საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

**კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა:**

- ✓ ს.ნ. და წ. 1.02.07-87 – „საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის“;
- ✓ პ.ნ. 02.01-08 – „შენობა-ნაგებობების ფუძეები“;
- ✓ პ.ნ. 01.01.09 – „სეისმომედეგი მშენებლობა“;
- ✓ ს.ნ. და წ. IV-5-82 – „მიწის სამუშაოები“;
- ✓ ს.ნ.და წ. 3.02.01-87 – „მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები“;
- ✓ პ.ნ. 01.05-08 – „სამშენებლო კლიმატოლოგია“;
- ✓ ს.ნ. და წ. 2.03.11-85 – „სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისგან დაცვა“;
- ✓ სახსტანდარტი 25100-82 – „გრუნტების კლასიფიკაცია“;
- ✓ IP-06 ინსპექტირების პროცედურა.

*შენიშვნა: ინსპექტირების ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევაზე დაყრდნობით. დოკუმენტაციის რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი ინსპექტირების ანგარიშის და შეფასებების გაუქმებას.*

## გამოკვლევა

ჩვენს მიერ 2026 წლის აგვისტოს თვეში და განმეორებით 2026 წლის ოქტომბრის თვეში შემოწმებული იქნა - ქ. თბილისი, მაღალტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლის ცენტრის სამშენებლო მოედნის ს/კ 01.81.08.254.019 საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. განმეორებითი ინსპექტრების მიზეზი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება № 8097284.

## ტექნიკური დავალება

დამკვეთი: – შ.პ.ს. "ელესჯი სოლუშენს" [405389262];

ობიექტის დასახელება: – მრავალფუნქციური კომპლექსი თბილისში;

მშენებლობის ტიპი [ახალი, რეკონსტრუქცია, გაფართოება]: – ახალი;

ობიექტის მისამართი: – ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ერეკლე მეორის ქუჩა, N104;

საკადასტრო კოდი: - 01.81.08.254.019;

ობიექტის დაპროექტების სტადია: – სქემატური დიზაინი;

ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: – III;

შენობის ტიპი: – რკინა-ბეტონის, მონოლითური, ფოლადის კოჭები;

ობიექტის ტექნიკური დახასიათება: – მაღალტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლის ცენტრი. 2 მიწისზედა დონის, ტექნიკური სახურავის და ტექნიკური ტერასების მქონე შენობას;

ზომები გეგმაში: – გაბარიტული ზომები გეგმაში – Module #1-ის დაახლოებითი ზომა – 55.7X41.0მ; ხოლო Module #2-ის დაახლოებითი ზომა ტერასების ჩათვლით – 75.5X30.0მ; ±0.00 სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული "658.85";

საძირკვლის სავარაუდო ტიპი: – დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე. განიხილება ერთიანი რკინა-ბეტონის მონოლითური ფილაც ან წერტილოვანი საძირკველი. "საძირკვლის დაახლოებითი [მოაზრებითი] ჩაღრმავება განსაზღვრულია 2.0მ-ით [658.85], ხოლო ბურღვის სიღრმე მიღებულია დამატებით 8.0მ. საძირკვლის ძირის ქვემოთ";

საველე სამუშაოები: – საპროექტო ტერიტორიაზე გაყვანილი იქნას 13 ჭაბურღილი [სარეკომენდაციო რაოდენობა და მდებარეობა, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს ინჟინერ-გეოლოგის მიერ], სიღრმე განისაზღვროს გეოლოგის მიერ СНиП 1.02.07-87 თანახმად, მათი სიღრმე იყოს არანაკლებ – 10მ.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების ანგარიში, რომელიც შედგება:

– ტექნიკური დავალება;

– საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში [ტექსტური ნაწილი].

დანართები:

– გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების ჯამური ცხრილი;

– გრუნტების გრანულომეტრიული შედგენილობა;

– გრუნტების კომპრესიული თვისებები;

– გრუნტების ძვრის მახასიათებლები;

– გრუნტების ქიმიური შემადგენლობა;

– გრუნტების აგრესიულობის ხარისხი;

– წყლის ქიმიური შედგენილობა;

– წყლის აგრესიულობის ხარისხი;

– გარემოს აგრესიულობის ხარისხი;

– ფოტოდანართები.

ნახაზები:

– ჭაბურღილების განლაგების გეგმა;

– ჭაბურღილების სვეტები;

– ლითოლოგიური ჭრილი: – A-A$^{I}$, B-B$^{I}$, C-C$^{I}$, D-D$^{I}$, E-E$^{I}$, F-F$^{I}$, G-G$^{I}$, H-H$^{I}$.

ანგარიშში განხილულია საკვლევი ტერიტორიის:

– გეომორფოლოგია და ტექტონიკა;

– გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები;

– კლიმატური პირობები;

– სეისმურობა;

– საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;

– დასკვნები და რეკომენდაციები.

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის შედგენისას გამოყენებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი შემდეგი სტანდარტები: – პ.ნ. 02.01-08; პ.ნ. 01.01-09; СНиП 2.02.01-83, ГОСТ 25100-82, СНБ 5.01.01-99, СП 11-105-95, BS 1377, Part 4.

შ.პ.ს. „გეოტექსერვისმა", შ.პ.ს. „ელესჯი სოლუშენს"-თან 2026 წლის 12 ივნისს დადებული ხელშეკრულების თანახმად, მიიღო ტექნიკური დავალება, ჩაეტარებინა ქ. თბილისში, სოფ. დიდი ლილოში (ს/კ 01.81.08.254.019) მაღალტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლის ცენტრის სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2026 წლის ივნისის თვეში [ინჟინერ-გეოლოგი: შ.პ.ს. „გეოტექსერვისი"-ს მხრიდან ზ. ღაღანიძე, გ. კოკოლაშვილი].

ლაბორატორიული კვლევები მიმდინარეობდა 2026წ. ივნისის თვეში [გ. ნაცვლიშვილი, მ. ნაცვლიშვილი].

კამერალური სამუშაოები მიმდინარეობდა 2026წ. ივნისი-ივლისის თვეში [გ. ტლაშაძე, ე. ჯიჯიაშვილი].

საველე კვლევებისას ყველა გამონამუშევარი [ჭაბურღილი] შესრულებულია დამკვეთის მიერ მითითებული რაოდენობით, სიღრმით და კოორდინატების შესაბამისად [ცხრილი 1.1] / სახელმძღვანელოდ გამოყენებულია СНиП 1,02,07-87.

ჭაბურღილებიდან, მათი შემდგომი ლაბორატორიული კვლევისათვის აღებული იქნა დაშლილი და დაუშლელი სტრუქტურის ნიმუშები. ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა დამკვეთთან შეთანხმებული ცდების და რაოდენობის შესაბამისად.

გამოკვლევის მიზანი: – მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნების საკითხის განსაზღვრა.

ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები:

საწყის ეტაპზე საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების მიზნით მოხდა მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის და მთლიანად უბნის ვიზუალური დათვალიერება;

ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად სამშენებლო მოედანზე გაიბურღა 13 ჭაბურღილი. ბურღვა ჩატარდა მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დანადგარით УРБ-2А-2, 146-108მმ. დიამეტრით, მშრალი ბურღვის წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით;

ჭაბურღილების ბურღვის დროს ხდებოდა გრუნტების დასინჯვა. აღებული იქნა დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის 48 გრუნტის და 1 მდინარის წყლის ნიმუში;

ჭაბურღილებში წყლის გამოვლენა რა დაფიქსირებულა. წყლის სინჯის აღება განხორციელდა საკვლევი ობიექტის მიმდებარედ ხევში მდინარე ხევადალას კალაპოტიდან;

ნიმუშების გამოკვლევა ჩატარდა ნორმატიული, ტექნიკური და ექსპერიმენტალური კვლევების შ.პ.ს. „გეოტექსერვისი"-ს გეოტექნიკის ლაბორატორიაში.

საველე და ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ უბანზე გამოყოფილია ნიადაგის ფენა და ოთხი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი [ს.გ.ე.]:

ნიადაგის ფენა – თიხნარი, მოშავო ყავისფერი, ნახევრად მყარი, ღორღის 10-20% ჩანართებით, მცენარეული ფესვების გამოვლინებით [$_{t}Q_{IV}$];

სგე 1 – თიხნარი – მუქი ყავისფერი, მყარი, ძლიერ მარილიანი - ბუდობების და მცირე ზომის ლინზების სახით, წვრილი და საშუალო ფრაქციის ხრეშის ჩანართებით [$_{ed}Q_{IV}$];

სგე 2 – კენჭნაროვანი გრუნტი – წვრილი და საშუალო ფრაქციის, ყავისფერი ნახევრად მყარი თიხნარის 20-40%-მდე შემავსებელით, ძლიერ კარბონატული [$_{al}Q_{IV}$];

სგე 3 – თიხნარი – ღია ყავისფერი, ნახევრად მყარი, მარილის ბუდობებით და ჩანაწინწკლებით, ძლიერ კარბონატული [$_{ed}Q_{IV}$];

სგე 4 – თიხნარი – ღია ყავისფერი, მყარი, თიხაქვიშის შუაშრეებით და ლინზებით, ძლიერ კარბონატული [$_{ed}Q_{IV}$].

ლაბორატორიული კვლევები არ განხორციელებულა ნიადაგის ფენაზე, მათი არაერთგვაროვნების გამო.

გამოკვლეული უბნების ამგები გრუნტების ქიმიური შემადგენლობა შესწავლილია 4 ნიმუშით:

ქიმიური შედგენილობის მიხედვით სგე 1 სულფატურ კალციუმიანი შემადგენლობის არის, სგე 2 სულფატურ, კალციუმ, ნატრიუმ კალიუმიანი შემადგენლობის, ხოლო სგე 3 და 4 ჰიდროკარბონატულ, სულფატურ, კალციუმ, ნატრიუმ კალიუმიანი შემადგენლობისაა.

სულფატური დამარილიანების მიხედვით გრუნტები ძლიერ და საშუალოდ აგრესიულნი არიან პორტლანდ ცემენტის W4, W6 და W8 ბეტონის მარკის მიმართ, ხოლო ქლორიდული

დამარილიანებით – სუსტად აგრესიულია ასევე ყველა სახის ბეტონების მიმართ (ГОСТ 10178-76, ГОСТ 22266-76).

ჭაბურღილებში წყლის გამოვლენა არ დაფიქსირებულა. წყლის სინჯის აღება განხორციელდა საკვლევი ობიექტის მიმდებარედ ხევში მდინარე ხევადალას კალაპოტიდან, აღსაღნიშნავია, რომ კალაპოტი დაბინძურებულია საყოფაცხოვრებლო ნაგავით.

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით წყლის მინერალიზაცია საკმაოდ მაღალია და შეადგენს 2.07გ/ლ-ს.

წყალი სულფატურ, კალციუმ-ნატრიუმ-კალიუმიანია. წყალს ახასიათებს სუსტი სულფატური აგრესია პორტლანცემენტების მიმართ.

წყალი სუსტად აგრესიულია W4 მარკის ბეტონების მიმართ წყალბადიონის მაჩვენებლის მიხედვით, დაბალი ფილტრაციის მქონე ქანებისათვის (Kf<0.1მ/დღე).

გარემოს აგრესიულობის ხარისხი მეტალის კონსტრუქციებზე მათი პერიოდულად დასველების დროს არის სუსტი.

ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი >0.1მ/დღე არის საშუალო.

გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტებიდან, ნიადაგის ფენა მიეკუთვნებიან – განსაკუთრებული შედგენილობის IV კლასის დისპერსიული შეკავშირებული გრუნტების ჯგუფს [ГОСТ 25100-20], სგე 1, 3 და სგე 4 გრუნტები მიეკუთვნებიან – II კლასის შეკავშირებული გრუნტების ჯგუფს [ГОСТ 25100-20], სგე 2 გრუნტები მიეკუთვნებიან – II კლასის შეუკავშირებელი გრუნტების ჯგუფს [ГОСТ 25100-20].

გრუნტების სეისმურობა დადგენილი იქნა სამშენებლო ობიექტის 8 (A–0.17 სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) ბალიანი სეისმურობის ზონაში მდებარეობის და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით [„სეისმომედეგი მშენებლობა" – პ.ნ. 01.01-09]. აღნიშნულის თანახმად, სეისმურობის მიხედვით გრუნტები განეკუთვნება – სგე 1, სგე 2, სგე 3 და სგე 4 – II კატეგორიას და განისაზღვრება 8 ბალით, ნიადაგის ფენა განეკუთვნება – IV კატეგორიას და ზუსტდება სპეციალური კვლევის შედეგად.

საველე დათვალიერების დროს გამოვლინდა:

ეროზიული პროცესები – კალაპოტის ჩაღრმავება; ნაპირების გარეცხვა; ფერდობის ძირის გამორეცხვა;

ფერდობის დესტაბილიზაცია – ჩამოშლილი უბნები; ჩამოცურებული გრუნტი; ფესვთა სისტემების გაშიშვლება;

ღვარცოფული პროცესები – ხევის ფსკერზე კენჭნარ-ლოდოვანი ნატანი; ტალახოვანი დანალექები; წყლის ნაკადის მიერ გადატანილი მასალა.

აღნიშნული ნიშნები მიუთითებს, რომ ხევადალა წარმოადგენს აქტიურ გეოდინამიკურ სისტემას.

დატბორვისა და ღვარცოფული საფრთხის შეფასება:

დატბორვის საფრთხე – დატბორვის რისკი შეფასებულია როგორც საშუალო;

მთავარი რისკფაქტორებია – ინტენსიური ნალექები, კალაპოტის შესაძლო ჩახერგვა, წყლის დაგროვება დაბალ ნიშნულებზე, ზედაპირული ჩამონადენის კონცენტრაცია;

განსაკუთრებით საყურადღებოა ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი, BH-12 და BH-13 ჭაბურღილების მიმდებარე ზონა.

ღვარცოფული საფრთხე:

ღვარცოფული რისკი შეფასებულია როგორც საშუალო – საშუალოზე მაღალი. რისკს განაპირობებს – მცირე წყალშემკრები აუზი, ფხვიერი ნატანი მასალის დიდი რაოდენობა, ხევის დიდი ენერგია, კალაპოტის ჩახერგვის შესაძლებლობა, ფერდობებიდან მასალის მუდმივი მოწოდება.

ეროზიული საფრთხე:

ეროზიული რისკი შეფასებულია როგორც მაღალი, რადგან – აქტიურად მიმდინარეობს ფსკერული ეროზია, აღინიშნება გვერდითი ეროზია, ფერდობების ძირები ირეცხება, ფიქსირდება ჩამოშლის კერები;

მეწყრული საფრთხე – დაბალი და საშუალო. მასშტაბური მეწყრული პროცესები ამჟამად არ ფიქსირდება, თუმცა ხევის ნაპირებთან არსებული ლოკალური ჩამოშლები მიუთითებს ფერდობების ნაწილობრივ არამდგრადობაზე.

საკვლევ ობიექტზე გრუნტის წყალი არცერთ ჭაბურღილში – არ გამოვლინდა.

**დასკვნები და რეკომენდაციები შედგება 21 პუნქტისაგან, სადაც აღნიშნულია, რომ:**

ჩატარებული კვლევების შედეგების და არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონი მიეკუთვნება III კლიმატურ და III-გ ქვერაიონს. იანვრის საშუალო ტემპერატურა 0$^0$C-დან +2$^0$C-დე იცვლება, ხოლო ივლისის საშუალო ტემპერატურა +25$^0$C-დან +28$^0$C-ის ფარგლებშია;

2. წარმოდგენილი რელიეფი თითქმის მთლიანად ანთროპოგენულია, შეცვლილია - დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურით ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად. რელიეფის ფორმებიდან გამომდინარე საშიში გეოდინამიური პროცესები შესწავლილი უბნის ფარგლებში შეინიშნება მდინარის ხევის სახით, სადაც განვითარებულია სხვადასხვა სახის პროცესები;

3. საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით შესწავლილი უბანი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის წნევიანი წყლების ოლქს, თბილისის ნაპრალური და კარსტულ-ნაპრალური წნევიანი წყლების ზონას;

4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი, სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა" [პ.ნ. 01.01-09] დამტკიცების თანახმად, საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება 8 ბალიან [MSK64 სკალა] სეისმურ რაიონს;

5. გეოლოგიური აგებულებით, გეომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებით საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის – II კატეგორიას;

6. საკვლევი ობიექტის, ჭრილის ამგები გრუნტები წარმოდგენილია:

ნიადაგის ფენა – თიხნარი, მოშავო ყავისფერი, ნახევრად მყარი, ღორღის 10-20% ჩანართებით, მცენარეული ფესვების გამოვლინებით [$_{t}Q_{IV}$];

სგე 1 – თიხნარი – მუქი ყავისფერი, მყარი, ძლიერ მარილიანი - ბუდობების და მცირე ზომის ლინზების სახით, წვრილი და საშუალო ფრაქციის ხრეშის ჩანართებით [$_{ed}Q_{IV}$];

სგე 2 – კენჭნაროვანი გრუნტი – წვრილი და საშუალო ფრაქციის, ყავისფერი ნახევრად მყარი თიხნარის 20-40%-მდე შემავსებელით, ძლიერ კარბონატული [$_{al}Q_{IV}$];

სგე 3 – თიხნარი – ღია ყავისფერი, ნახევრად მყარი, მარილის ბუდობებით და ჩანაწინწკლებით, ძლიერ კარბონატული [$_{ed}Q_{IV}$];

სგე 4 – თიხნარი – ღია ყავისფერი, მყარი, თიხაქვიშის შუაშრეებით და ლინზებით, ძლიერ კარბონატული [$_{ed}Q_{IV}$];

7. ნიადაგის ფენა მიეკუთვნებიან – განსაკუთრებული შედგენილობის IV კლასის დისპერსიული შეკავშირებული გრუნტების ჯგუფს [ГОСТ 25100-20], სგე 1, 3 და სგე 4 გრუნტები მიეკუთვნებიან – II კლასის შეკავშირებული გრუნტების ჯგუფს [ГОСТ 25100-20], სგე 2 გრუნტები მიეკუთვნებიან – II კლასის შეუკავშირებელი გრუნტების ჯგუფს;

8. სეისმურობის მიხედვით გრუნტები განეკუთვნება – სგე 1, სგე 2, სგე 3 და სგე 4 – II კატეგორიას და განისაზღვრება 8 ბალით, ნიადაგის ფენა განეკუთვნება – IV კატეგორიას და ზუსტდება სპეციალური კვლევის შედეგად;

9. ქიმიური შედგენილობის მიხედვით სგე 1 სულფატურ კალციუმიანი შემადგენლობის არის, სგე 2 სულფატურ, კალციუმ, ნატრიუმ კალიუმიანი შემადგენლობის, ხოლო სგე 3 და 4 ჰიდროკარბონატულ, სულფატურ, კალციუმ, ნატრიუმ კალიუმიანი შემადგენლობისაა;

10. სულფატური დამარილიანების მიხედვით გრუნტები ძლიერ და საშუალოდ აგრესიულინი არიან პორტლანდ ცემენტის W4, W6 და W8 ბეტონის მარკის მიმართ, ხოლო ქლორიდული დამარილიანებით – სუსტად აგრესიულია ასევე ყველა სახის ბეტონების მიმართ;

11. ჭაბურღილებში წყლის გამოვლენა არ დაფიქსირებულა. წყლის სინჯის აღება განხორციელდა საკვლევი ობიექტის მიმდებარედ ხევში მდინარე ხევადალას კალაპოტიდან, აქვე ავღნიშნავთ, რომ კალაპოტი დაბინძურებულია საყოფაცხოვრებლო ნაგავით;

12. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით წყლის მინერალიზაცია საკმაოდ მაღალია და შეადგენს 2.07გ/ლ-ს. წყლები სულფატურ, კალციუმ-ნატრიუმ-კალიუმიანია. წყალს ახასიათებს სუსტი სულფატური აგრესია პორტლანცემენტების მიმართ. წყალი სუსტად აგრესიულია W4 მარკის ბეტონების მიმართ წყალბადიონის მაჩვენებლის მიხედვით, დაბალი ფილტრაციის მქონე ქანებისათვის ($K_f$<0.1მ/დღე);

13. გარემოს აგრესიულობის ხარისხი მეტალის კონსტრუქციებზე მათი პერიოდულად დასველების დროს არის სუსტი. ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტია >0.1მ/დღე, არის საშუალო;

14. საკვლევი ტერიტორია ექცევა მდ. ხევადალას აქტიური გავლენის ზონაში. ხევადალას ხეობა ხასიათდება: აქტიური კალაპოტური ეროზიით; ფერდობების ლოკალური ჩამოშლებით; ნატანი მასალის ინტენსიური გადაადგილებით; ღვარცოფული პროცესების განვითარების პოტენციალით; პერიოდული წყალმოვარდნებით. "წითელ ზონაში" არსებული ტერიტორია სამშენებლოდ ვარგისია მხოლოდ პირობითად, შესაბამისი საინჟინრო დაცვის ღონისძიებების განხორციელების შემდეგ. ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეებია: კალაპოტური ეროზია; ღვარცოფული ნაკადები; ფერდობების ლოკალური დესტაბილიზაცია; ძლიერი ნალექების დროს დროებითი დატბორვა;

15. შესწავლილ ტერიტორიაზე გამოყოფილი ყველა საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტისათვის საჭირო ფიზიკური და მექანიკური მაჩვენებლები, მიღებული, როგორც ლაბორატორიული კვლევების, ასევე შესაბამისი სტანდარტების [პ.ნ. 02.01-08; პ.ნ. 01.01-09; ГОСТ 25100-20, СНиП IV-5-82 და სხვა] მიხედვით.

რეკომენდაციები:

16. ნაგებობის დასაფუძნებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ყველა ფენა, ნიადაგის ფენის გარდა;

17. გასათვალისწინებელია, რომ ნიადაგის ფენა არაერთგვაროვანი და განსხვავებული სიმძლავრისაა;

18. გასათვალისწინებელია გრუნტების სეისმურობა კონსტრუქციული ანგარიშის და მშენებლობის პერიოდში;

19. გასათვალისწინებელია გრუნტების მაღალი აგრესიულობა;

20. ტერიტორიის უსაფრთხო ათვისების მიზნით რეკომენდებულია: კალაპოტის რეგულირება - კალაპოტის გაწმენდა ნატანი მასალისგან; ხის ნარჩენებისა და ნაგვის გატანა; გამტარუნარიანობის გაზრდა. ნაპირდაცვა - ეროზიულ მონაკვეთებზე მოეწყოს: გაბიონური კედლები; ლოდოვანი წყობა; ქვანაყარი ნაპირდაცვა. ნატანდამჭერი ნაგებობები - ხევის ზედა ნაწილში მიზანშეწონილია: ნატანდამჭერი ბარიერები; მცირე ღვარცოფდამჭერი კაშხლები; ენერგიის ჩამქრობი საფეხურები. ფერდობის სტაბილიზაცია - ბიოინჟინრული გამაგრება; ფერდობების ტერასირება; გეობადეების გამოყენება; ხე-მცენარეული საფარის შენარჩუნება. სადრენაჟო სისტემა - აუცილებელია: ზედაპირული წყლების ორგანიზებული არინება; შემკრები არხები; სადრენაჟო თხრილები; წყალმიმღები ჭები;

21. ზემოაღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინების შემთხვევაში ტერიტორიის ათვისება შესაძლებელია საინჟინრო უსაფრთხოების მოთხოვნებისდაცვით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები განხორციელებულია და საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში მომზადებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო ნორმები და წესები) მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ინსპექტორი

ინჟინერ-გეოლოგი: Guram lashvili 01011007163 Digitally signed by Guram lashvili Date: 2026.10.05 17:24:35 /გურამ იაშვილი/

# დ ა ს კ ვ ნ ა:

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში აკმაყოფილებს საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (“სამშენებლო ნორმები და წესები”) მოთხოვნებს, რის გამოც – ქ. თბილისი, მაღალტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლის ცენტრის სამშენებლო მოედნის ს/კ 01.81.08.254.019 საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი ინჟინერ-გეოლოგი: Guram Iashvili 01011007163 Digitally signed by Guram Iashvili Date: 2026.10.05 17:25:03 /გურამ იაშვილი/

ტექნიკური მენეჯერი: /რამაზ აფხაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /დავით ჯიბლაძე/

*№ PG 8177/05.10.2026* *გვ. 12–12 დან*

# სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

# აკრედიტაციის მოწმობა

## GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

## შპს „პონტიკა“-ს

## A - ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის №183/185



გაცემულია 17 იანვარი 2023 წელი

ძალაშია 17 იანვარი 2027 წელი

გენერალური დირექტორი

იხ. სფერო და სტატუსი

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0306
განკარგულება №06/270
თარიღი: 27.12.2022 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე



**სფეროს აქტუალიზაცია**
განკარგულება №01/88
თარიღი: 12.09.2023 წ.

სფეროს აქტუალიზაცია
განკარგულება № 01/73
თარიღი: 10.06.2026 წ.

# შპს „პონტიკა“

## A -ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

მისამართი: ქ. თბილისი,შ. ნუცუბიძის №183/185;

| N | ინსპექტირების ობიექტი | ინსპექტირების ტიპი და ზღვარი | მეთოდები და პროცედურები |
|---|---|---|---|
| 1. | ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება | ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე:<br>ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან ან/და პროექტთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი IV);<br>2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР)<br>3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები;<br>4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული;<br>5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები;<br>6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ);<br>7. საქართველოს მთავრობის 2026 წლის პირველი ივნისის N 241 დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების, გეგმური მოგებისა და სხვა დანარიცხების განსაზღვრის წესი“;<br>8. „CPP - სამშენებლო ფასების პორტალი“ – სამშენებლო რესურსების საშუალო საბაზრო ფასები.<br>9. PNT/IB/IP-7.1-22-04-A19 ინსპექტირების პროცედურა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2. | ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით) | ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისთვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი IV-82);<br>2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР)<br>3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები;<br>4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული;<br>5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები;<br>6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი -მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ);<br>7. საქართველოს მთავრობის 2026 წლის პირველი ივნისის N 241 დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების, გეგმური მოგებისა და სხვა დანარიცხების განსაზღვრის წესი“;<br>8. „CPP - სამშენებლო ფასების პორტალი“ – სამშენებლო რესურსების საშუალო საბაზრო ფასები.<br>9. PNT/IB/IP-7.1-22-04-A21 ინსპექტირების პროცედურა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3. | ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება | ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით) აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები -( СНиП-ნაწილი 1);<br>2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2);<br>3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3);<br>4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71);<br>5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41;<br>6. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“;<br>7. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა. |
| 4. | ობიექტის ან მისი ნაწილის საინჟინრო ქსელების:<br>• გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების;<br>- -შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება | ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2);<br>2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3;)<br>3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71);<br>4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები ( ПУЭ)<br>5. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი);<br>6. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“;<br>7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41;<br>8. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН);<br>9. ისო/იეკ 11801-2017<br>10. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5. | ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, საავტომობილო გზების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე) სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება | ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრავიო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.<br><br>შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის პროექტთან შესაბამისობის დადგენა. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი<br>2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 4);<br>3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები ( ПУЭ);<br>4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71);<br>5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“;<br>6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“)<br>7. .ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41);<br>8. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება N 354 „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ"<br>9. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი);<br>10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის # 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“;<br>11. PNT/IB/IP-7.1-22-04-A23 ინსპექტირების პროცედურა; |
| 6. | პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება | ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები -( СНиП-ნაწილი 1);<br>2. სამშენებლო ნორმები და წესები -( СНиП-ნაწილი 4);<br>3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71);<br>4. PNT/IB/IP-7.1-22-04-A45 ინსპექტირების პროცედურა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7. | პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. | ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები -( СНиП-ნაწილი 2);<br>2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“)<br>3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41);<br>4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71)<br>5. PNT/IB/IP-7.1-22-04-A49 ინსპექტირების პროცედურა. |
| 8. | პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება | ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები -( СНиП-ნაწილი 1);<br>2. სამშენებლო ნორმები და წესები -( СНиП-ნაწილი 2);<br>3. სამშენებლო ნორმები და წესები -( СНиП-ნაწილი 3);<br>4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71);<br>5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“;<br>6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A44 ინსპექტირების პროცედურა |
| 9. | პროექტის საინჟინრო ქსელების: ელ. მომარაგება 1000 ვ-მდე და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება | ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის,<br>ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები-(СНиП-ნაწილი 2);<br>2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი);<br>4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები ( ПУЭ);<br>5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“;<br>6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A26 ინსპექტირების პროცედურა. |
| 10. | პროექტის საინჟინრო ქსელების: სუსტი დენების და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება | ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები -( СНиП-ნაწილი 2);<br>2. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН);<br>3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41);<br>4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები ( ПУЭ); 5. ისო/იეკ 11801-2017;<br>6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A26 ინსპექტირების პროცედურა. |
| 11. | პროექტის საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება | ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2);<br>2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3);<br>3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71);<br>4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41);<br>5. PNT/IB/IP-7.1-22-04-A47 ინსპექტირების პროცედურა |
| 12. | პროექტის საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება | ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. | 1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2);<br>2. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41);<br>3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71);<br>4. PNT/IB/IP-7.1-22-04-A53 ინსპექტირების პროცედურა |

# იაშვილი გურამი(cv)


გვარი, სახელი, მამის სახელი: იაშვილი გურამი გივის ძე

მისამართი: ქ.თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის V შეს. კორ. №6, სად. I, ბ. 21;

ტელეფონი: სახ: 2791046; მობ: 599403599;

დაბადების თარიღი: 19.07.1969წ;


განათლება:

1975-1986წ. ქ. თბილისის I საშ. სკოლა;

1986-1992წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, სპეციალობით ჰიდრო-გეოლოგია და საინჟინრო-გეოლოგია;

სამუშაო გამოცდილება:

1992-1995წ. შავი ზღვის საინჟინრო გეოლოგიურ-გეოეკოლოგიური ცენტრი, ტექნიკ-გეოლოგი;

1996წ. შავი ზღვის ლითომონიტორინგული კვლევების საინჟინრო-გეოეკოლოგიური პარტია, გეოლოგი;

1997-2006წ. აჭარის საინჟინრო-გეოეკოლოგიური პარტია, გეოლოგი;

2009წ. მონაწილეობა სამუშაოებში ს. ურავში, მდინარე ლუხუნზე ჰესების კასკადის გეოლოგია;

2011წ. ს.ს.კ. „გროს ენერჯი ჯგუფი“, ინჟინერ-გეოლოგი;

2011წ. მონაწილეობა სამუშაოებში "Mott MacDonald"-ის ჯგუფის შემადგენლობაში, მდ. აჭარისწყალზე მშენებარე ჰიდროჰესების კასკადზე, ინჟინერ-გეოლოგი;

2014-2016წ. შ.პ.ს. „გეოტექსერვისი“, ინჟინერ-გეოლოგი;

2016-2020წ. შ.პ.ს. „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“, ინჟინერ-გეოლოგი;

2017-2019წ. შ.პ.ს. „საინჟინრო-მონიტორინგის ჯგუფი“ ინსპექტირების ორგანოს ინსპექტორი;

2019- დღემდე შპს „პონტიკა“ ინსპექტირების ორგანოს ინსპექტორი

# GEORGIA

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

## HIGHER IN EDUCATION

## DIPLOMA

DIPLOMA ЦВ № 811075

DUPLICATE DU № 000147

By decision N 1818 July 1, 1992.

of the faculty of Geological

Mr. Guram Iashvili

who studied in 1986-1992 and was awarded the Qualification of

Mining Engineer-Hydrologist

in

Hydrogeology and Engineering Geology

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| Diploma Registration N | 1739 | 5 day | 10 month | 1992 year |
| Duplicate Registration N | 00056 | 10 day | 6 month | 2011 year |

# საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## უმაღლესი განათლების

## დიპლომი

დიპლომი ЦВ № 811075

დუბლიკატი DU № 000147

გეოლოგიის

ფაკულტეტის 1992 წლის 1. 7 № 1818

გადაწყვეტილებით გურამ იაშვილს

რომელიც სწავლობდა 1986-1992 წლებში,

მიენიჭა სამთო ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის


კვალიფიკაცია ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია


სპეციალობით

L.S. Seal

თბილისი Tbilisi

რექტორი Rector


GEO
საქართველო
სახელი / FIRST NAME
გურამ
GURAM
გვარი / LAST NAME
იაშვილი
IASHVILI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მ / M
01011007163
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
19.07.1969
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
30.08.2034
ბარათის No / CARD No
24IB32223
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
30.08.2024
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სსგს; დამამზადებელი: MB-IDS 2024
სემგს-ს რეგისტრაციის No 47-6101
IDGE024IB32223501100716 3<<<<
6907190M3408308GE0<<<<<<<<<<<0
IASHVILI<<GURAM<<<<<<<<<<<<<<